19/01/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგება ნათლისღების დღესასწაულზე (19.01.2019)

ჩვენთან არს ღმერთი

ყველას გილოცავთ ნათლისღების დღესასწაულს. დღეს წმინდა სამება განცხადდა _ ძე ღვთისა ჩავიდა იორდანეში, ნათლისღება ინება და სული წმინდა სახითა ტრედისათა გარდამოვიდა მაცხოვარსა ზედა და ამასთან მოისმა მამის ხმა: ,,შენ ხარ ძე ჩემი საყვარელი, შენ სათნო გიყავ“.

დღეს არის განსაკუთრებული დღე, განიწმინდება ცა და ქვეყანა. დღეს ხარობს ზეცა და მიწა და ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ ვიხაროთ ორსავე სოფელსა შინა. ნაკურთხი წყალი არის დიდი სიწმინდე. მთელი წლის განმავლობაში ნაკურთხი წყალი უნდა გვქონდეს სახლში, უნდა ასხუროთ სახლს, ეზოს, ქუჩებს და ბოროტი სული აღარ მოგეკარებათ თქვენ.

კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ ამ დიდებულ დღეს. მადლი სულისა წმინდისა იყოს თქვენ ზედა.

ჩვენთან არს ღმერთი!

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა.